

პროგრამის სახელწოდება:

კლასიკური ფილოლოგია

მეცნიერების დარგი: ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ფილოლოგიის დოქტორი
PhD In Philology

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები:

სრული პროფესორი ნინო ჩიხლაძე
სრული პროფესორი ზაალ ლილუაშვილი

პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტები და სტრუქტურული ერთეულები:

სადოქტორო პროგრამა შესრულებული იქნება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა , საზოგადოებრივ და სოციალურ მეცნიერებათა , პედაგოგიური ფაკულტეტების მიერ;
ბ) არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის, დასავლეთევროპისა და ამერიკის ლიტერატურის, მსოფლიო ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სწავლე- ბის მეთოდოლოგიათა დეპარტამენტების მიერ.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

სადოქტორო პროგრამა არის ინტერდისციპლინარული. პროგრამა წარმოადგენს ჰუმანიტარული მეცნიერებების კომპლექსურ დარგს, რომელიც გულისხმობს წინარე ანტიკური და ანტიკური ეპოქების კულტურის სხვადასხვა ასპექტის კვლევას. მისი შემადგენელი სპეციალობები ტრადიციულია მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში. საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერებების ამ სფეროების შესწავლას მდიდარი ტრადიციები აქვს. პროგრამა მოიცავს ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა სფეროს: ანტიკური ეპოქის, მედიტერანული და ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის, წინარე ანტიკური და ანტიკური ეპოქის სხვადასხვა კარდინალურ საკითხებს.

სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- შესძინოს დოქტორანტს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მისცემს მას კლასიკური ფილოლოგიის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მუშაობის საშუალებას;

- ხელი შეუწყოს სწავლაში დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული, პასუხისმგებლიანი და ინიციატივიანი სპეციალისტის გაზრდას.

კვლევის სავარაუდო პრობლემატიკა:

სიზმრის ფენომენი ძველბერძნულ დრამაში;
ესქილეს ტრაგედიების მითოპოეტური და ისტორიული კონტექსტი;
მითოპოეტური სახე-სიმბოლოები და მოდელები ევრიპიდეს დრამატურგიაში;
კონფლიქტის სტრუქტურა და კომპოზიციური ორგანიზაციის პრინციპები ძველბერძნულ პროზაში;
დრო და სივრცე კვინტილიანუსის პროზაში;
სინდისის ფენომენი ანტიკურ ლიტერატურაში;
ანტიკური ეპისტოლარული მწერლობა;
ანტიკური იმპორტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში;
რელიგიის საკითხები ელინისტური ეპოქის არქეოლოგიური მასალების მიხედვით;
ანტიკური ეპოქის თავდაცვითი სისტემები დასავლეთ საქართველოში;
დაკრძალვის წესები ანტიკურ საქართველოში;
მითი და ლოგოსი;
პლატონი და სიმულაციური თეორია;
ნეოპლატონიზმი გელათის აკადემიაში;

სადოქტორო პროგრამის შედეგი:

კლასიკური ფილოლოგიის პროგრამის გავლისა და სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ დოქტორანტს ექნება დარგობრივი კომპეტენციები:

- იგი შეძლებს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში პრობლემის დასმისა და სინთეზირებული მეთოდების გამოყენებით მის დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით გადაჭრას;
- ახალი ცოდნის შექმნასა და კვლევის თანამედროვე მეთოდების თუ მიდგომების შემუშავებას; ამ მიზნით ეფექტურად გამოიყენებს დამატებით რესურსებს; დამოუკიდებლად დაგეგმავს და უხელმძღვანელებს ჯგუფის მუშაობას;
- დოქტორანტს სრულყოფილად ექნება ათვისებული კლასიკური ფილოლოგიის სფეროში სამეცნიერო აპარატი და მას წარმატებით გამოიყენებს ამა თუ იმ პრობლემის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ კონტექსტში ანალიზისას;
- კურსის დასრულების შედეგად ფართო კომპეტენციის ფარგლებში მოამზადებს სალექციო კურსებს არჩეულ სპეციალობაში;
- კლასიკური ფილოლოგიაში დაწერს მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო გამოკვლევებს;
- პრაქტიკულად გამოიყენებს ახალ მეთოდებს დამოუკიდებელი კვლევისას;

- სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს ეცოდინება ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, შეძლებს შეადგინოს მონაცემთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს ბიბლიოგრაფიის მომზადებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

- კლასიკური ფილოლოგიის სფეროში განსწავლულობა, თანამედროვე ფილოლოგიური, ფილოსოფიური და ისტორიის მეცნიერებათა მეთოდების ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს შეისწავლოს, გააანალიზოს და გამოსაცემად მოამზადოს კლასიკური ტექსტები და სიძველეთმცოდნეობითი არტეფაქტები შეისწავლოს სხვადასხვა თვალსაზრისით.

ამასთანავე, მას ექნება ზოგადი კომპეტენციები და შეძლებს:

- კოგნიტური უნარებით – რთული და წინააღმდეგობრივი მონაცემებისადმი სისტემურ მიდგომასა და ანალიზს, ახალი მიდგომების სინთეზს;
- მეთოდოლოგიური უნარებით – პროფესიული და კომპლექსური პრობლემების განსაზღვრას, დამოუკიდებლად ჯგუფური მუშაობის დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას;
- ტექნოლოგიური უნარების ფლობას და თანამედროვე საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენებას;
- სისტემური უნარებით – ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და ზედამხედველობას;
- სამეცნიერო ნაშრომისათვის საჭირო მასალის (ემპირიულისა თუ თეორიულის) მოძიებას, მოპოვებული მასალის ანალიზსა და კლასიფიკაციას, მეცნიერული მასალის არგუმენტირებასა და სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობას.

დასაქმების სფეროები:

- უმაღლესი სასწავლებლები;
- ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი და მთარგმნელობითი ცენტრები;
- სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო დაწესებულებები, კომპანიები, ფონდები და ორგანიზაციები;
- ბიბლიოთეკები, გამომცემლობები, მასმედია;
- მუზეუმები, არქივები;
- სასულიერო აკადემიები და სემინარიები;
- არასამთავრობო და კერძო სტრუქტურები;
- ტურიზმი და სხვა.

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები:

სასწავლო კომპონენტი – 45 კრედიტი

დარგობრივი კურსები – 35 კრედიტი

დარგის სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკა – კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი – 120 კრედიტი (დაწვრილებით იხ. დანართი №1).

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია მაგისტრებისათვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში;

ერთ-ერთი ევროპული უცხო ენის (გერმანული, ინგლისური, ან ფრანგული) B2 დონეზე ფლობა.

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი:

მოსალოდნელია, რომ დოქტორანტურაში ამ პროგრამით ჩაირიცხება დაახლოებით ხუთამდე მაგისტრი, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევს 6 სრული პროფესორი. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელ-კოორდინატორები პროგრამაში მოიწვევენ დამატებით ხელმძღვანელს.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

გამოყენებული იქნება: ა) აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, ბაგრატის შესწავლის ფონდის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ბ) აწსუ და თსუ სპეციალიზებული ბიბლიოთეკა (20000 წიგნადი ფონდი); გ) აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრი.

ანალოგიური პროგრამები:

სადოქტორო პროგრამა – კლასიკური ფილოლოგია – ფუნქციონირებს მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში. მაგალითად, მსგავსი სადოქტორო პროგრამები ხორციელდება შემდეგ უნივერსიტეტებში:

ჰარვარდის უნივერსიტეტი

ჰენსილკის უნივერსიტეტი

ჰიუსტონის უნივერსიტეტი

კემბრიჯის უნივერსიტეტი

პიტსბურგის უნივერსიტეტი

ჩიკაგოს უნივერსიტეტი

ტორონტოს უნივერსიტეტი
 ინდიანას უნივერსიტეტი
 მოსკოვის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
 თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გავითვალისწინეთ როგორც მსოფლის წამყვან უნივერსიტეტებში ამ მიმართულებით დოქტორების მომზადების სპეციფიკა, ასევე ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასპირანტებსა და მაძიებლებთან მუშაობის პროცესში.

- პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:
- აწსუ სრული პროფესორი ნინო ჩიხლაძე
 - აწსუ სრული პროფესორი ზაალ ლილუაშვილი
 - აწსუ სრული პროფესორი ომარ ლანჩავა
 - თსუ სრული პროფესორი რისმაგ გორდეზიანი
 - აწსუ სრული პროფესორი მირიან ებანოიძე
 - თკუ სრული პროფესორი ირინა აბესაძე
 - აწსუ ასოცირებული პროფესორი მერაბ ჭუმბურიძე
 - აწსუ ასოცირებული პროფესორი დავით შავიანიძე
 - აწსუ ასოცირებული პროფესორი რუსუდან მიქაუტაძე
 - აწსუ ასოცირებული პროფესორი როლანდ ისაკაძე

დარგობრივი კურსების მოდული

კლასიკური ფილოლოგია

	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების სემესტრული რაოდენობა				
				I	II	III	IV	V
1.	ძველი ბერძენი ავტორების კითხვა	სავალდ.	5	5				
2.	რომაელი ავტორების კითხვა	სავალდ.	5		5			
3	ბერძნული ლიტერატურის ისტორია	სავალდ.	5	5				
4	ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია და კულტურა	სავალდ.	5	5				
5	ანტიკური (ძვ. საბერძნეთი, რომი) ხელოვნება და არქეოლოგია	სავალდ.	5		5			
6	რომაული ლიტერატურის ისტორია	სავალდ.	5		5			
7	დარგის სწავლების მეთოდოლოგია	სავალდ.	5			5		
8	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდ.	5				5	

9	არჩევითი კურსები	არჩევითი	5	5	5	5			
	ანტიკური სამყაროს ეთნოლოგია								
	ანტიკური და შუა საუკუნეების ქრისტიანობა								
	კლასიკური არქეოლოგიის ისტორია და მეთოდოლოგია								
	ანტიკური ქალაქი								
	ლიტერატურისა და კულტურის თეორია კლასიციზტებისთვის								
	ანტიკური ფილოსოფია და რელიგია								
	ანტიკური რიტორიკა და ორატორული ხელოვნება								
	ანტიკური ეპიგრაფიკა, პაპიროლოგია და პალეოგრაფია								
10	კოლოქვიუმები და კვლევითი კომპონენტი	სავალდ	135						

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficiens) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდოლოგია

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი" , 4 - " საშუალო", 5 - "კარგი" , 6 - "ძალიან კარგი" , 7 - "ფრიადი" ;
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E_0 ;
- დ) E განისაზღვრება, როგორც E_0 -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E_0 არის $n,5$ სახის, მაშინ E განისაზღვრება $n+1$ -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E \geq 2$;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$.